ბაღდათის მუნიციპალიტეტის

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ვამტკიცებ შიდა აუდიტისა

და ინსპექტირების სამსახურის

უფროსი: გივი კობერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის

ბიუჯეტის შესრულების შიდა აუდიტორული

შემოწმების ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.
2. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
3. აუდიტის პასუხისმგებლობა.
4. ანგარიში

1. **აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.**

აუდიტის საფუძველს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N24 დადგენილება, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების შესაბამისად ევალება კონტროლი ბაღდათის მუნიციპალიტეტის სახსრების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების შესახებ.

აუდიტის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველკვარტალური, წლიური შესრულების ანგარიშის საკრებულოში განხილვისას გამოხატოს მოსაზრება, მერიის მიერ განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე, ამჟამად აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და გაწეული მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

2. **აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.**

მერიის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესწავლის პროცესში საფინანსო სამსახურის მიერ, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური.

3. **აუდიტის პასუხისმგებლობა.**

აუდიტის ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობაა, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მერიის 2020 წლის I კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავს რიცხობრივ მაჩვენებლებს შორის ურთიერთთანაფარდობისა და სხვა მონაცემების გონივრულ შედარებას. ანგარიშის მომზადების ვადებისა და სხვა წინაპირობების გათვალისწინებით იგი ვერ უზრუნველყოფს სრულ საბუთობრივ შემოწმებას და შესაბამისობის სისწორის დადგენას განხორციელებულ გადარიცხვებთან.

შიდა აუდიტორული ანგარიში

2020 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 27 დეკემბრის N24 დადგენილებით და განისაზღვრა 7657,5 ათასი ლარით. მათ შორის: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები - 130,0 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად), საგადასახადო შემოსავლები - 6519,1 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 707,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 301,0 ათასი ლარი.

2020 წლის I კვარტალში ბიუჯეტის მიმართ განხორციელდა 4 ცვლილება (მათ შორის: საკრებულოს მიერ 2 ცვლილება (28/02/2020 საკრებულოს დადგენილება N4; 31/03/2020-საკრებულოს დადგენილება N6), ხოლო მერის ბრძანებით - 2 ცვლილება (03/02/2020-მერის ბრძანება N41 112; 11/02/2020-მერის ბრძანება N41 165).

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლებიდან დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით ხარჯების ნაწილში მოხდა შემდეგი ცვლილებები, თავდაპირველად საქონელი და მომსახურების ხარჯი დაგეგმილი იყო 1 008,0 ათასი ლარი, ხოლო შემდეგი ცვლილებით გაიზარდა და განისაზღვრა 1 205,3 ათასი ლარი, დამატებული თანხა მოიცავს საქართველოს მთავრობის 09/01/2020 წლის N27 დადგენილებით საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის ჯამში გამოყოფილ 107,119 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი თანხა არის წინა წლის გადმოყოლილი ნაშთები. ასევე სუბსიდიაზე ა(ა)იპებს დაემატა წინა წლის ნაშთები (ძირითადად ის სახსრები, რომლებზეც ვალდებულებები აღებული იყო და ვერ მოესწრო გასულ წელს გადარიცხვები), ხოლო შემდეგ ბაღებს მოაკლდა 32,0 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფას დაემატა 23,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯი დაგეგმილი იყო 105,0 ათასი ლარი გაიზარდა 20 ათასი ლარით, რაც დაემატა სარეზერვო ფონდს.

ბიუჯეტის I კვარტალის შემოსულობების გეგმა 2 527,8 ათასი ლარით განისაზღვრა. შესრულებამ 2 689,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია საგადასახადო და სხვა შემოსავლების დაგეგმილზე მეტით მიღებით. გადასახადების გეგმა შესრულდა 112,5%-ით, რაც გამოწვეულია დღგ-ს გადაჭარბებით. დღგ-ს გეგმა შეადგენდა 1 141,3 ათასს ხოლო ფაქტიური შესრულება 1 291,9 ათასი ლარი.

თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ გადასახადების სხვადასხვა მუხლებში 1 კვარტალში გეგმა დაბალი მაჩვენებლებით არის განსაზღვრული წლიურ გეგმასთან შედარებით. მაგ; ქონების გადასახადის წლიური გეგმა არის 750 ათასი ლარი, ხოლო 1 კვარტალში გეგმა განისაზღვრა 21,5 ათასი ლარით, რაც წლიური გეგმის 2,86%-ია. საფინანსო სამსახურის განმარტებით ბიუჯეტის 1 კვარტალი აღნიშნულ მუხლში ყოველთვის შესრულების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა და ქონების გადასახადის მიღება ძირითადად მე-2 კვარტლიდან ხდება. მისაღები გრანტების შესრულება გეგმასთან შედარებით შეადგენს 99.7%-ს გეგმა-806,2 ათასი ლარი, შესრულება- 803,5 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა -111,2 ათასი ლარი, შესრულება -129,9 ათასი ლარი. აღნიშნულ შემოსავლებში შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან შეადგენს 7,358 ათას ლარს. წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 1,072 ლარს (ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრის გათავისუფლებული თანამშრომლის მიერ -792 ლარი, გადმოტანა მუხლიდან (7022)- 250 ლარი, სსიპ საპენსიო სააგენტო-30 ლარი).

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღებ შემოსავალს წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 301 ათასი ლარით, თუმცა პირველივე კვარტალში გადაჭარბებით იქნა შესრულებული წლის გეგმა და შემოსავალმა შეადგინა 447,6 ათასი ლარი. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ 2020 წლის 14 იანვარს აუქციონზე გაყიდული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი ანანოვების სასახლე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე სახელმწიფოს სარგებლობაში განლაგებული ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 65% ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო 35% ადგილობრივ თვითმართველობას. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხული იქნა 447,6 ათასი ლარი.

ნაშთმა 01/01/2020 წლის მდგომარეობით 1 078,9 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: ანგარიშებზე არსებული თანხა შეადგენდა 648,1 ათას ლარს ხოლო დეპოზიტზე 430,8 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთი 1 255 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის: ანგარიშებზე 675 ათასი ლარი და საბანკო დეპოზიტზე 580 ათასი ლარი. განკარგულების ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს 1 კვარტალში დაემატა სოფ. დიმის საბავშვო ბაღისათის გამოყოფილი 115,924 ათასი ლარი და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გადმორიცხული 76,987 ათასი ლარი.

2020 წლის დასაწყისში განკარგულებების ნაშთებმა შეადგინა 628,386 ათასი ლარი, 1 კვარტლის ბოლოს ნაშთებს მოაკლდა და გადარიცხული იქნა 155,979 ლარი, დარჩენილი თანხის ძირითადი ნაწილი კი საგარანტიო თანხებს წარმოადგენს.

ინფრასტრუქტურული ობიექტებისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა 1 კვარტალში შეადგინა 548,1 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს საავანსო თანხებს. დღეის მდგომარეობით 13 ობიექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, 1-ზე ხელშეკრულების მომზადება, ხოლო რაც შეეხება სოფლის პროგრამის და სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხებს, არსებული მდგომარეობის და რეკომენდაციის შესაბამისად ჯერჯერობით სამუშაოები არ დაწყებულა.

ამჟამად ქირით უზრუნველყოფის შესახებ 26 მოქალაქეზე არის გაფორმებული ხელშეკრულებები, წლის დასაწყისში იყო 23 მოქალაქეზე.

2020 წლის 1 იანვრისათვის დასაწყისისათვის სოფლების მიხედვით წარმომადგენლებს ერიცხებოდათ სხვადასხვა მასალების ნაშთი, ჯამში საერთო ღირებულებით 177 ათასი ლარის, დღეის მდგომარეობით ნაშთი შემცირებულია 30,2 ათასი ლარით და შეადგენს 146,8 ათას ლარს. მათ შორის: საკრაულა 10,6 ათასი ლარი , ხანი 0,6 ათასი ლარი, როხი 13,7 ათასი ლარი, II ობჩა 15,6 ათასი ლარი, I ობჩა 7,5 ათასი ლარი, დიდველა 0,025 ათასი ლარი, ზეგანი 4,3 ათასი ლარი, ბაღდათი 6,3 ათასი ლარი, ნერგეეთი 12,4 ათასი ლარი, ზედა/დიმი 7,2 ათასი ლარი, ქვ.დიმი 17,2 ათასი ლარი, ვარციხე 3,8 ათასი ლარი, როკითი 4,4 ათასი ლარი, ფერსათი 40,8 ათასი ლარი, წითლხევი 2,3 ათასი ლარი.

2018-2019 წლის სტიქიური უბედურების (ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის მოსახლეობაზე გადაცემული სახურავის მასალებიდან დღეის მდგომარეობით 20 ოჯახს კვლავ გამოუყენებელი აქვთ აღნიშნული მასალები.

1 კვარტალში აუქციონზე გატანილი იქნა 2 არასასოფლო მიწა შენობით (საავადმყოფო 180.5 ათასი ლარი და დიმის სასადილო 90.2 ათასი ლარი) და ერთი სასოფლო მიწის ნაკვეთი(სოფ. წითელხევი, 1200 კვ.მ). გაიყიდა მხოლოდ სასოფლო მიწის ნაკვეთი 951 ლარად, ხოლო დანარჩენ 2 აუქციონზე ბიჯი არ აღნიშნულა.

მუნიციპალური ქონების სარგებლობისათვის (ქირა-იჯარა-აღნაგობა) შემოსულია 7,416 ათასი ლარი, აქედან წინა წლის დავალიანება შეადგენდა 2,274 ათას ლარს. 2020 წლის დასაწყისში სულ გაფორმებული იყო 30 სარგებლობის ხელშკრულება, მათ

შორის 28 იჯარა, ერთი აღნაგობა და ერთი ქირავნობა. დღეის მდგომარეობით 30 ხელშეკრულებიდან 9 ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა, მათ შორის სს „სილქნეტი“-ს და შპს „მაგთიკომი“-ს. სს „სილქნეტი“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყოველკვარტალურად იხდის 1,5 ათასი ლარს, ხოლო შპს „მაგთიკომი“ (ქირავნობა) ყოველკვარტლურად 1,770 ათასი ლარს. ხელშეკრულების ვადის დასრულების მიუხედავად ორივე კომპანია სარგებლობისათის ჩვეულებრივ იხდის ქირასა და იჯარას, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მათთან ხელშეკრულების გაგძელების თაობაზე.

სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან 31 მარტის მდგომარეობით დაკმაყოფილებული იქნა 530 მოქალაქე, გახარჯულია წლიური გეგმის 24,1%-ი. ყველაზე მეტად 1 კვარტალში ათვისების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუხლი, 136 მოქალაქეზე გაცემულია 18,280 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 36,5%-ია. სარეზერვო ფონდის მოცულობა დაგეგმილი იყო 20 ათასი ლარით, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად საბოლოოდ განისაზღვრა 40 ათასი ლარით, საიდანაც გახარჯულია 16,6 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდის გაზრდის საჭიროება მეტწილად განაპირობა მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ორი მოქალაქის ოჯახის წევრების დაკრძალვის ხარჯების გაწევის აუცილებლობამ და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დიდმა რაოდენობამ.

ა(ა)იპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“-ის წლიური სუბსიდია 1 127,3 ათასი ლარი. 1 კვარტლის გეგმა 289,885 ათასი ლარი, შესრულება 276,954 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 24,5%-ია. ტრანსპორტის მოვლა შენახვისათვის გაწეულია 31,276 ათასი ლარის ხარჯი, მათ შორის საწვავის ხარჯია 23,053 ათასი ლარი, მანქანების რემონტის ხარჯი 7,346 ათასი ლარი და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 876 ლარი. აღნიშნული ხარჯებიდან წლიურ გეგმასთან შედარებით 1 კვარტალში ათვისების მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული ხარჯი, მაგ: აღნიშნულ მუხლში წლიური გეგმა არის 79,395 ათასი ლარი, I კვარტალში გახარჯულია 42,320 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 53,4%-ი, თუმცა აღნიშნული ხარჯი ძირითადად მოიცავს გარე განათების ქსელისათვის ელექტრო ნათურების შესყიდვაზე გაწეულ ხარჯს 35 ათას ლარს, რომელთა შესყიდვაც წლის დასაწყისში ერთიანად, მთელი წლის საჭირო რაოდენობის მიხედვით ხდება. ა(ა)იპ-ში მოხდა

საშტატო ცვლილებები, მიმდინარე წელს თანამშრომლების უმრავლესობას გაეზარდათ ხელფასები, მათ შორის მუშებს 425-დან 500 ლარამდე, დამლაგებლებს 225- დან 300 მდე, დარაჯებს 200-დან 250 მდე, ასევე ადმინისტრაციას, სამსახურის უფროსებს და სხვებს, შესაბამისად წინა წელთან შედარებით გაიზარდა სახელფასო ანაზღაურება, წინა წლის საშტატოთი 139 თანამშრომლის სახელფასო ფონდი შეადგენდა 55,565 ათას ლარს, ხოლო მიმდინარე წლის საშტატოთი 149 თანამშრომელზე 67,695 ათას ლარს. შტატში დამატებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, მეეზოვეები, დამლაგებლები და მუშები.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის I კვარტალში დაგეგმილი იყო 23 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულებაა 21,8 ათასი.

ა(ა)იპ-მა მიმართა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შპს „ნიუპროტექტორი"-ს 16 საბურავის შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებაზე, შპს „ნიუპროტექტორი"-ს მიერ ტენდერში წარმოდგენილი ფასების შესაბამისად 16 საბურავის ფასი, ჯამში შეადგენდა 6,068 ათას ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ მიმართვაზე შპს „ნიუპროტექტორი"-მა ა(ა)იპ-ს აცნობა, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების გათვალისწინებით ვერ ახერხებდა ჩინეთიდან ტენდერის მიხედვით გათვალისწინებული მწარმოებლის და მოდელის შესაბამისი საბურავების შემოტანას და ვერ შეძლებდა ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ა(ა)იპ-მა შესყიდვების სააგენტოდან მიიღო ნებართვა საბურავებზე გამოეცხადებინა ტენდერი. თავდაპირველად ტენდერი გამოცხადდა იგივე ფასზე თუმცა პრედენდენტი არ დაფიქსირებულა. განმეორებით გამოცხადებულ ტენდერზე შესყიდვის სავარაუდო ფასი განისაზღვრა დღგ-ს გარეშე 6,440 ათას ლარზე, გამარჯვებული გამოვლინდა იგივე კომპანია შპს „ნიუპროტექტორი"-ი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება დღგ-ს გათვალისწინებით 7,567 ათას ლარზე და შესაბამისად მოწოდებული იქნა აღნიშნული თანხის საბურავები ოღონდ კონსოლიდირებული ტენდერისაგან განსხვავებული მწარმოებლის და მოდელის. ზემოაღნიშნული ცნობილი გარემოებებიდან გამომდინარე საბურავების შეძენა ა(ა)იპ-ს დაუჯდა 1,499 ათასი ლარით მეტი.

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებამ 2020 წლის 21 იანვარს გამოაცხადა ტენდერი ავტო-ამწე კალათის მომსახურეობის შესყიდვაზე, შესყიდვის სავარაუდი ღირებულება განისაზღვრა 22.0 ათასი ლარით დღგ-ს გათვალისწინებით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრედენდენტმა ი. მ. „პავლე ენდელაძე"-მ რომლის შემოთავაზებული

ფასი იყო 22,0 ათასი ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულება გაფორმდა 22.0 ათას ლარზე, (ხელშ. N25 17.02.2020წ). აღნიშნული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მიმწოდებელის მიერ გარე განათების მოწყობისათვის ავტო-ამწე კალათის მომსახურეობა საათში შეადგენს 20 ლარს. დოკუმენტაციით ირკვევა რომ მიმწოდებელი ი.მ. პავლე ენდელაძე არ არის დღგ-ს გადამხდელი, ხოლო შემსყიდველის ტენდერის და ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ა(ა)იპს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მოცულობის მთლიანად მიღების შემთხვევაში მეტობით გადახდილი გამოუვათ 3,356 ათასი ლარი (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების- 22 ათასი ლარის 18%-ი). გამომდინარე აქედან ხელსაყრელი იქნებოდა ა(ა)იპ-ს ტენდერი გამოეცხადებია დღგ-ს გარეშე და თუკი მიმწოდებელი იქნებოდა დღგ-ს გადამხდელი მხოლოდ ამ შემთხვევაში დაემატებოდა სავარაუდო ღირებულებას დღგ-ს 18%-ი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მომსახურების შესასყიდად წინა წელს ჩატარებული აქვს 3 ტენდერი, აქედან 2 დღგ-ს ჩათვლით და 1 დღგ-ს გარეშე. დამატებითი ტენდერების აუცილებლობა კი სოფლის პროგრამის ფარგლებში გაზრდილი სანათების რაოდენობის მომსახურების გამო წარმოიშვა. გასული წლის 3 ტენდერში სახელშეკრულებო ფასი საათში შეადგენდა შესაბამისად 16,6 ლარს /16,52 ლარს / 16,52 ლარს.

ა(ა)იპ „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი“ -წლიური დაფინანსება 350 ათასი ლარი. 1 კვარტალში საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 100 ლარი. 1 კვარტალში გაწეული ხარჯია 77,388 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 22,1%-ია. ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასების ხარჯს 63,995 ათას ლარს.

ასევე სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებიდან გახარჯულია 6,703 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მთელი წლის განმავლობაში საჭირო თასების მედლების და სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენის ხარჯს 4,243 ათასი ლარი, მათი შეძენა წლის დასაწყისში 1 წლის სამყოფი რაოდენობით ხდება. სპორტული ღონისძიებებისათვის გაწეულ ხარჯებია 2,460 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“ დაფინანსდა 1 354,9 ათასი ლარით, რომელსაც ემატება საკუთარი შემოსავლების გეგმა

25 ათასი ლარი. პირველ კვარტალში გაწეული ხარჯია 281,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 20,4%-ია. კომუნალურებში გახარჯულია 24,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 40,8%-ია, მათ შორის ბუნებრივი და თხევადი გაზის მოხმარებისთვის გაწეულია ხარჯი 19,5 ათასი ლარი, რომელშიც შედის წინა წლის დავალიანებაც (6913.15 ლარი), ამ უკანასკნელის წლიური გეგმა კი არის 38 ათასი ლარი. რაც შეეხება კვების თანხებს წლიურად დაგეგმილი არის 190 ათასი ლარი, ხოლო 1 კვარტალში გახარჯულია 17,3 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ პანდემიასთან დაკავშირებით სწავლის პროცესი შეჩერებული იქნა 1 მარტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.03.2020 წლის N6 დადგენილებით ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების" (04 01 01) სუბსიდია შემცირდა 32 ათასი ლარით, რომელიც დაემატა „საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივ პროგრამას" (01 04) ბაღის აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესაძენად. დღევანდელი მდგომარეობით გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 771 ბავშვს. დამტკიცებული მენიუს მიხედვით საბავშვო ბაღის აღსაზრდელის ერთი თვის კვების ნორმის შესაბამისი თანხა შეადგენდა 40,87 ლარს. თუმცა შეძენილი იქნა 772 ბავშვისთვის პროდუქტების პაკეტი ვინაიდან სიებში მოხდა შეცდომით ერთით მეტი ბავშვი. აღნიშნული 772 პაკეტიდან გაუცემელი დარჩა 4 პაკეტი (2 ბავშვი არ იმყოფებოდა ქვეყანაში, ერთის მშობელმა უარი განაცხადა აღნიშნული დახმარების მიღებაზე, ხოლო 1 კი შეცდომით იყო შეძენილი). გაუცემელი 4 პაკეტი გადაეცა სოციალური სამსახურის მიერ შერჩეულ 4 სხვადასხვა ოჯახს. თითოეული აღსაზრდელის უზრუნველყოფა მოხდა ზემოთ აღნიშნული თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამარტივებული ხელშეკრულებების საფუძველზე (ხელშეკრულება #81 11,637 ათასი ლარი, ხელშეკრულება #82 17,033 ათასი ლარი).

პაკეტებისათვის კვების პროდუქტებით მომმარაგებელ ტენდერში გამარჯვებულ მომწოდებელთაგან მოთხოვნილი იქნა არამალფუჭებადი პროდუქტები. მომწოდებლებმა ბაღების გაერთიანებას პროდუქტების მოსაწოდებლად აღნიშნული გარემოების და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მოთხოვეს გაზრდილი ფასების გადახდა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულით ხელშეკრულების პირობები ირღვეოდა და ვერ შეძლებდნენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მაღალფასიანი პროდუქტების შეძენას, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ და მერიის შესყიდვების სამსახურმა ჩაატარეს ბაზრის კვლევა სხვა მომწოდებლის მოსაძიებლად, აღნიშნული კვლევის შედეგად ყველაზე ხელსაყრელი ფასები შემოთავაზებული იქნა კვლავ იმ

მომწოდებლებიდან ვისთანაც ქონდათ ხელშეკრულებები გაფორმებული, (შპს „ნება“ და შპს „ექსპრესს მარკეტი“). 911 ლარის პროდუქტები ნაშთად ქონდათ საწყობებში რომელიც დაემატა ახალ შესყიდულ საქონელს.

ა(ა)იპ ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ სახელოვნებო და მუსიკალურ სექტორში, პანდემიიდან გამომდინარე შეჩერებულია სასწავლო პროცესი, მათ თანამშრომლებზე კი ხელფასის გაცემა ხდება ნაწილობრივ ბავშვთა შემონატანების მიხედვით. გამომდინარე იქედან, რომ ვერ იღებდნენ ბავშვთა შემონატანებს და რომ არ მომხდარიყო სექტორებში დასაქმებული თანამშრომლების საარსებო წყაროს გარეშე დარჩენა, ხელფასები გაიცა სრულად სუბსიდიის თანხიდან, შესაბამისად მოხდა 1,67 ათასი ლარის ბავშვთა შემონატანების ნაცვლად სუბსიდიისავე თანხით შევსება. თუმცა მუნიციპალიტეტის წერილობითი თანხმობისა და ა(ა)იპ-ის რაიმე საგამონაკლისო დოკუმენტის შექმნის გარეშე.

ა(ა)იპ „ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს წლიური დაფინანსება განისაზღვრა 725,8 ათასი ლარით, 1 კვარტალში გახარჯულია 160,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 22,1%-ია. ხელფასებში 64,8 ათასი ლარი, შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურებაში 76 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა ოფისის და სხვადასხვა საქონლის და მომსახურების შეძენის ხარჯები. ა(ა)იპ-ში ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ცენტრთან არსებულ სტუდიებში შეჩერებულია სასწავლო პროცესი, სტუდიის თანამშრომლებზე ხელფასის გაცემა ხდება შემოსავლების მიხედვით, გამომდინარე იქედან, რომ არ ხდება შემოსავლების მიღება, ვერ ხერხდებოდა სტუდიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ხელფასის გაცემა. ყოველივე ამის გათვალიწინებით, რომ არ მომხდარიყო სტუდიაში დასაქმებული თანამშრომლების საარსებო წყაროს გარეშე დარჩენა, მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით (მერიის N41/1352 25.03.2020წ) ა(ა)იპ-ს მიეცა უფლება სტუდიის თანამშრომლებზე ხელფასი გაიცეს 2019 წლის საკუთარი სახსრების ნაშთის ფარგლებში, რომელიც შეადგენს 18,9 ათას ლარს.

საკუთარი შემოსავლებმა I კვარტალში შეადგინა 7,9 ათასი ლარი დაგეგმილი 12,5 ათასი ლარიდან. წლიური გეგმა შეადგენს 41 ათას ლარს.

2018 წლის 05 ივნისს 2018 წლის ბოლომდე ვადით გაფორმდა ხელშეკრულება ერთერთ თანამშრომელთან. შესაბამისად ხელშეკრულების ამოწურვის· შემდეგ მას არ გაგრძელებია ხელშეკრულება, თუმცა 2019 წლის ათი თვის მანძილზე ურიცხავდნენ ხელფასს 150 ლარის ოდენობით. ხოლო აღნიშნული შეცდომის შესახებ მათთვის ცნობილი გახდა 2019 წლის ნოემბერში და აღნიშნულმა თანამშრომელმა დააბრუნა მიღებული თანხები 2 ნაწილად 2019 წლის 23 დეკემბერს და 2020 წლის 10 იანვარს, ხოლო შემოსავლების სამსახურში მის შესაბამისად გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი ჩათვლილი და გათვალისწინებული იქნა შემდგომი ანგარიშსწორებებისას. აღნიშნულ შეცდომას კი ადამიანური რესურსების თანამშრომელის მიერ საფინანსო ნაწილისთვის გადაგზავნილ სიაში მომხდარი უზუსტობით ხსნიან.

ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საირმე“ წლიური დაფინანსებაა 50 ათასი ლარი, გახარჯულია 4,5 ათასი ლარი. შრომის ანაზღაურებაზე 3,3 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს 2 მწვრთნელის, დირექტორის და ბუღალტერის ხელფასს , ხოლო რაც შეხება ფეხბურთელების ანაზღაურებას, მათზე ხელფასის გაცემა ხდება პრემიის სახით. პრემიის გაცემა ხდება გუნდის მიერ თამაშის მოგების შემთხვევაში. გუნდი გამოეთიშა იმერეთის ჩემპიონატიდან, ხოლო საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის თამაშების დაწყება კი ივნისიდანაა ნავარაუდევი.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს წლიური დაფინანსება 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შეადგენდა 47 ათას ლარს, ხოლო 1,6 ათასი ლარი დაემატათ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან . პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული ტუბერკულოზის, აივინფექციის/შიდსისია და C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამის განხორციელებისათვის.

წინა წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გაიზარდა 2 ათასი ლარით და შეადგინა 49 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდია გაიზარდა და შეადგინა 31,2 ათასი ლარი. ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად აღნიშნული ცენტრი ყოველთვიურად ურიცხავს 725 ლარს. აღნიშნული მომატებული დაფინანსებით 20,5 ათასი ლარით მცირეხელფასიან თანამშრომლებს გაეზარდათ სახელფასო ანაზღაურება. გასული წლის საშტატო განრიგის მიხედვით წლიური

სახელფასო ფონდი 12 თანამშრომელზე შეადგენდა 3,620 ათას ლარს, ხოლო ახალი 2020 წლის 24 იანვრის N65 მერის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით 13 თანამშრომელზე შეადგენს 5,530 ათას ლარს. 10,7 ათასი ლარი განისაზღვრა პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული ტუბერკულოზის, აივინფექციის/შიდსისია და C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამის განსახორციელებლად.

ზემოხსენებული, არსებული ნაკლოვანებები განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი შემხებლობაში მყოფი სამსახურების მიერ და დასახულ იქნას გზები მათ აღმოსაფხვრელად და ასევე მომავალში თავიდან აცილების კუთხით. მოსახლეობისათვის გადაცემული მასალების გამოუყენებელი და ჩამოუწერი ნაშთების დროული შემცირების კუთხით უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. იგივე შეეხება ქარით დაზიანებული სახლების შეკეთებისათვის გადაცემულ სახურავის მასალებს, რომელთა რაოდენობა გასული წლის III კვარტლის შემდგომ შემცირებულია (ანუ ათვისებულია) ოთხით, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კვლავ გამოუყენებელი აქვს 20 ოჯახს.

ეკონომიკის სამსახურმა მიმდინარე სრულმასშტაბიანი ინვენტარიზაციის დამთავრებისთანავე უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებზე გადაცემული ქონების საბუთობრივი მოწესრიგება.

შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობა ბუნებრივია ვერ განსაზღვრავს ყველა ცალკეულ შემთხვევას, აქედან გამომდინარე შესაბამისმა სატენდერო კომისიამ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს დაწესებულებისთვის მომგებიანი შესყიდვის ხერხის შერჩევა და არ დაუშვას თუნდაც კანონით ნებადართული ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაწესებულებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იქნება.

დაწესებულების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ შედეგიანი მეთვალყურეობა-გადამოწმების ხერხების გამოყენება, რაც შეამცირებს მათი თანამშრომლების მხრიდან იმ შეცდომების დაშვების ალბათობას რაც ზემოთ მიმოვიხილეთ. ამასთან საგანგებო და საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების განმავლობაშიც უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სამოქმედო ნორმების დაცვა ან საგამონაკლისო აქტების შექმნა და იმოქმედონ მათ შესაბამისად, მიუხედავად ცნობილი, გასაგები, გასათვალისწინებელი და ადამიანური მიზნებისა.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი : ---------- თეიმურაზ ლომსიანიძე

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების
სამსახურის უმცროსი სპეციალისტი : ---------- უჩა გელხვიიძე

22.05.2020 წ